სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

11 დეკემბერი 2025

N 21/12685

შპს „საკაურა ჰესს“
მის: ქ.თბილისი,ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი,
37ლ, ბლოკი B, საოფისე ფართი, N3
ელ. ფოსტა: g.margebadze@unienergy.ge;

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ - სააგენტო) განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 18/09/2025 წ. (სააგენტოში: 25/09/2025 წ. N9389) განცხადება და დაგეგმილი საქმიანობის (ონის მუნიციპალიტეტში, შპს „საკაურა ჰესის“ მდ. საკაურაზე 4.75 მგვტ დადგმული სიმძლავრის „საკაურა ჰესის“ და 35 კვ სიმძლავრის ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გაცნობებთ, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

ა) გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მოიცავს ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, ამასთან აღნიშნულია, რომ დაგეგმილია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობა და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმების პროცედურა დაწყებულია, თუმცა არ არის წარმოდგენილი საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს მოსაზრება, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
ბ) გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე ნაგებობამდე მისასვლელი საექსპლუატაციო გზის დერეფანი დატანილია დანართებში მოცემულ გენ-გეგმაზე. ასევე ანგარიშში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილია shp ფაილების სახით, თუმცა მისასვლელი გზების shp ფაილები არ არის წარმოდგენილი. ამასთან ანგარიშში აღნიშნულია, რომ მისასვლელი გზები არ იმეორებს მილსადენის კონტურს, თუმცა სიტუაციურ ნახაზზე მოცემული მილსადენის კონტური და მისასვლელი გზები იდენტურია;
გ) გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადატანა დაგეგმილია დროებით სანაყაროზე, შემდგომში სარეკულტივაციო სამუშაოებში გამოყენების მიზნით, თუმცა ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მოსახსნელი ნაყოფიერი ნიადაგის სავარაუდო მოცულობის და განთავსების ადგილის შესახებ;
დ) ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების პირველადი შეფასება, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კრიტერიუმს იქთიოფაუნაზე ჰესის ნეგატიური ზემოქმედების ზეგავლენის შეფასების მიზნით;

ე) საშუალო მრავალწლიური, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯების გაანგარიშებისას, გადასვლა ანალოგიდან (ჰ/ს ლაგვანთა) საპროექტო ჰესის სათავე ნაგებობის კვეთამდე, შესრულებულია ერთი და იმავე გადამყვანი კოეფიციენტის (0,339) მეშვეობით. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დასაბუთებას;

ვ) გზშ-ის ანგარიშში მოცემულ რუკებზე (ნახაზი 5.1.2.2.1. საკვლევი რაიონის მორფოლოგიური რუკა და სურათი 5.1.2.6.1. ჰიდროლოგიური დარაიონების რუკის ფრაგმენტი) არ არის მოცემული ინფორმაცია ავტორების, წლის და მასშტაბის შესახებ, ასევე დაზუსტებას საჭიროებს პირობითი აღნიშვნები. ხოლო საკვლევი რაიონის ზოგად გეოლოგიურ რუკაზე (ნახაზი 5.1.2.3.1.) არ არის მოცემული ინფორმაცია ავტორების და წლის შესახებ;

ზ) გზშ ანგარიშში გვ 41 - აღნიშნულია, რომ ძალური კვანძის კომპლექსის შემადგენლობაში შედის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა, ხოლო გვ. 51-ზე ნაჩვენებია ღია გამანაწილებელი მოწყობილობა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

თ) გზშ-ის ანგარიშში გვ.44 - ნახაზზე ნაჩვენებია წყლის დონე მდინარეში, თუმცა არ არის მითითებული რა უზრუნველყოფის ხარჯს შეესაბამება. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

ი) გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ზეთშემკრები სისტემის პრინციპიალურ სქემაზე (ნახაზი 3.2.3.2.1.1 გვ.52) არ არის დატანილი პირობითი აღნიშვნები. ასევე არ არის წარმოდგენილი ქვესადგური დეტალური გეგმა, ჭრილების ჩვენებით;

კ) დაზუსტებას საჭიროებს ზედა ზღუდარისა და ბეტონის ბლოკების დროებითი კედლის დაშლის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ასევე დაზუსტებას საჭიროებს ყველა დროებითი ნაგებობის დემონტაჟის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა, შემდგომი მართვის საკითხი), რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ;

ლ) გზშ-ის ანგარიშში გვ. 68 - ტექსტში აღნიშნულია, რომ სათავე ნაგებობების ქვაბულის დამუშავება ხორციელდება ორ იარუსად, მაგრამ გვ.66-ზე მოცემულ ნახაზზე ნაჩვენებია სამი საფეხური. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან წარმოდგენილ ნახაზზე მოცემულ ჭრილზე ბეტონის დროებითი კედლის თხემის ნიშნული ნაკლებია წყლის საანგარიშო დონეზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას/დასაბუთებას;

მ) გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკი მოიცავს ქვესადგურის ტერიტორიას, აღნიშნული ტერიტორია ასევე მოიცავს სადაწნეო მილსადენის დერეფანს შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკის გენ-გეგმაზე პირობითი აღნიშვნები: ბანაკზე არ არის გათვალისწინებული ღია და დახურული სასაწყობე მეურნეობები, საყალიბე და საარმატურე საამქროები, სამედიცინო, კვებისა და სანიტარული კვანძები;

ნ) გზშ-ის ანგარიშში გვ. 98-ზე მოცემული თევზსავალის განივი ჭრილი საჭიროებს დაზუსტებას;

ო) გზშ-ის ანგარიშის თანახმად სადერივაციო მილსადენის გასწვრივ, მარცხენა ნაპირზე, დაფიქსირებულია 13 სხვადასხვა პარამეტრის მქონე წყალსადინარი, ხოლო ჰიდროლოგიურ კვლევაში მოცემულია მხოლოდ 4 მათგანის ხარჯი, საჭიროა წარმოდგენილი იყოს ყველა მათგანის ხარჯები;

პ) გზშ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მილსადენის ტრასაზე გამოვლენილია რვა მეწყრული სხეული და ეროზია-გამორეცხვის უბანი, რომელთა სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა პრევენციული ღონისძიებების გატარება. თუმცა არ არის მოცემული აღნიშნული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;

ჟ) ანგარიშში არ არის მოცემული სალექარის გამრეცხი მილსადენის (გალერეის, არხის) ადგილმდებარეობა და მდინარის კალაპოტთან შეუღლების კვანძი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

რ) სადაწნეო მილსადენზე არ არის გათვალისწინებული საინსპექციო საძრომების (ლუკების) მოწყობა, ამასთან სადაწნეო მილსადენის დამცლელი მილის, ძირითად მილთან შეუღლების კვანძი არ არის ჩასმული ბეტონის ანკერში, შესაბამისად აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას;

ს) დოკუმენტაციაში ინერტული მასალების განთავსების და ტრანსპორტირების წყაროებიდან გაფრქვეული ნივთიერება წარმოდგენილია მყარი ნაწილაკების სახით (კოდი 2902), რაც საჭიროებს დაზუსტებას არაორგანული მტვერის (კოდი 2909, 20% SiO_2 სილიციუმის შემცველობით) შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენას საჭიროებს გადამუშავებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

ტ) წარმოდგენილი უნდა იქნეს, დეტალური ინფორმაცია იმ ჰაბიტატების შესახებ, რომლებიც ხეების ჭრის შედეგად მოსალოდნელ ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება და ასევე იმ ცხოველთა სახეობებზე რომლებიც გვხვდება მითითებულ ჰაბიტატებში. განსაკუთრებით ჭალის ტყით დაფარულ მონაკვეთებზე. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები.

უ) წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელებით გამოწვეული წყლის ნაკადის შემცირებისა და დარჩენილი წყლის ხარჯის საკმარისობის საკითხი, ბიომრავალფეროვნების არსებობა-შენარჩუნების თვალსაზრისით, რომელიც განხილული/შესრულებული იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის მიერ.

ფ) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმაში საჭიროა ასევე აისახოს წყლისა და წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით წავზე (Lutra lutra) შესაძლო ზემოქმედების დასადგენად, ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის მუდმივი მონიტორინგის და მიღებული შედეგების სააგენტოში წარდგენის (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), ასევე წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად ჰესის ექსპლუატაციის საკითხები;

ქ) წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრებია: წავი, მურა დათვი, ტურა, მელა, ტყის კვერნა, შველი და სხვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილია ცხრილი 5.1.4.3.2.1 (გვ: 246 ტომი 1), სადაც წავთან დაკავშირებით არასწორადაა მითითებული მისი საკონსერვაციო სტატუსი. გაცნობებთ, რომ "საქართველოს „წითელი ნუსხის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს „წითელი ნუსხის" შესაბამისად, წავი (*Lutra lutra*) საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობაა და მას მინიჭებული აქვს სტატუსი VU - მოწყვლადი. შესაბამისად საჭიროა ზემოაღნიშნულ ცხრილში 5.1.4.3.2.1 (გვ: 246 ტომი 1) აღნიშნული საკითხის კორექტირება.

ღ) გზშ-ს ანგარიშში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: ზურმუხტის ქსელის უბანი: დღეის მდგომარეობით საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შერჩეულია 65 ზურმუხტის ტერიტორია მათ შორის საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაშორების მანძილით არსებული ზურმუხტის ტერიტორია „სვანეთი-რაჭა". საპროექტო დერეფნის და ზურმუხტის ქსელის უბნის ურთიერთგანლაგება იხ. ნახაზზე 3.1.2. გაცნობებთ, რომ 2025 წლის მონაცემებით საქართველოში ზურმუხტის ქსელი მოიცავს 66 საიტს, რომელთაგანაც ყველას ტერიტორია დამტკიცებულია.

ყ) გზშ-ს ანგარიშის მიხედვით „პროგნოზირებულია, რომ იქთიოფაუნაზე ზემოქმედების მნიშვნელობა საშუალოდან-მაღალ მნიშვნელობამდე შენარჩუნდება. აქედან გამომდინარე წინამდებარე გზშ-ს ანგარიშით განსაზღვრულია საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია დათევზიანების გეგმის წინასწარი ასპექტები (ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე). თუმცა მშენებლობის ეტაპზე, საჭიროა იქთიოფაუნის, წყლის ჰაბიტატების და მასზე

დამდგარი ზემოქმედების პერიოდული მონიტორინგი (წელიწადში ორჯერ). მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დაზუსტდება დათევზიანების გეგმა და შესათანხმებლად წარედგინება სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო“-ს. აგრეთვე განსაზღვრულია ყოველწლიურად 5 000 ცალამდე განაყოფიერებული ქვირითის შეძენა და გაშვება მდინარეში“. ვინაიდან აღნიშნული ოდენობის კალმახის დასათევზიანებელი მასალა დიდი ალბათობით არასაკმარისი შეიძლება იყოს ზემოქმედების შესარბილებლად, საჭიროა აღნიშნული ნაწილის კორექტირება, კერძოდ: საჭიროა წარმოდგენილი იქნას დასაბუთებული ინფორმაცია მდ. საკაურას, ამ მონაკვეთზე გავრცელებული, სუფთა გენეტიკური ხაზის კალმახის (Salmo fario Linnaeus) 5000 თვალების სტადიაზე მყოფი ქვირითით დათევზიანების საკმარისობასთან დაკავშირებით, ან განისაზღვროს დასათევზიანებელი მასალის გაზრდილი ოდენობა, საკომპენსაციო ღონისძიებების უფრო ეფექტიანი შედეგის მისაღებად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დათევზიანების რაოდენობა განისაზღვროს სათანადო დასაბუთებით, შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტის ჩართულობით.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა. დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე თქვენ ა/წ 25 სექტემბრის განცხადებასთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეჩერებულია და სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12685-21-2-202512111152

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE